ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №06/125

ქ. თბილისი 28.06.2012 წ.

1. ერთი მხრივ, **შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“** ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის **საბა ჯიშიაშვილის** სახით და, მეორე მხრივ, **ა(ა)იპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“** ს/კ 204861970 (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **სერგო რატიანის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობ-პროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის საწვავის ბენზინი პრემიუმი (არანაკლებ 95 ოქტანობისა), ბენზინი რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 91-სა, ევრო 3 სტანდარტი) და დიზელი (PPM-50-ზე ნაკლები) ნასყიდობა.

3. <u>ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება:</u> ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **39998,80** (ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს.

4. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის პრემიუმს (არანაკლებ 95 ოქტანობისა) 2660 ლიტრს, რეგულარს (ოქტანობა არანაკლებ 91-სა, ევრო 3 სტანდარტი) 11000 ლიტრს და დიზელს (PPM-50-ზე ნაკლები) 5000 ლიტრს.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის დიზელი (PPM-50 და მეტი) ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.ყველა დანარჩენ საწვავზე კი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.

6. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

7. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

8. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 13 ივლისის ჩათვლით.

9. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

10. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5
საიდენტიფიკაციო კოდი - 204861970
სახელმწიფო ხაზინა
სუბსიდია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სერგო რატიანი

მიმწოდებელი:

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის №154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE62BG0000000876831000

კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

საბა ჯიშიაშვილი